



კრიპტომატის გამოყენების ინსტრუქცია



სარჩევი

მონეტების ყიდვა.....	4
მონეტების ყიდვა ციფრული საფულით.....	6
მონეტების საყიდლად ქაღალდის საფულის (Wallet) შექმნა.....	8
მონეტების განაღდება.....	10
მონეტების განაღდება სპეციალური კოდის (ე.წ. Redemption Code) გამოყენებით.....	13



CRYPTOMAT

support@cryptomat.ge

+995 706 770 527

კრიპტომატების საშუალებით კრიპტოვალუტების – ბიტკოინი, ლაითკოინი, ეთერიუმი და ბიტკოინ ქეში ნაღდი ფულით შეძენა და გაყიდვა/განაღდება შესაძლებელი.

დაგვიკავშირდით
ბელარუსის ნომარზე
+995 706 770 527



CRYPTOMAT



დააწიროთ მონეტორს

**იყიდეთ და გაყიდეთ
ბიტკოინი აქ**

გვადლოთ, რომ სარგებლოდ ჩვენი კონიპობაბებით


დახმარება გჭირდებათ?
support@cryptomat.ge
www.cryptomat.ge

ოპერაციის დასაწყებად, პირველ რიგში, შეეხეთ ეკრანს;


მონეტების ყიდვა



მონეტების შესაძენად მთავარი მენიუდან აირჩიეთ ოპერაცია ➡ Buy Coins;



მიუთითეთ რომელი მონეტის შეძენა გსურთ: ბიტკოინი, ლაითკოინი, ეთერიუმი ან ბიტკოინ ქეში;




კრიპტომატიდან მონეტების შესაძენად შეგიძლიათ გამოიყენოთ უკვე არსებული საფულე ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, შექმნათ იგი.

მონეტების ყიდვა ციფრული საფულით




თუ უკვე გაქვთ ელექტრონული საფულე (Wallet), მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ პირველი → Scan Wallet QR Code (საფულის შექმნის საჭიროების შემთხვევაში მე-8 გვერდიდან განაგრძეთ ინსტრუქციის კითხვა);

საფულის QR კოდის დასასკანერებლად გახსენით შესაბამისი მობილური აპლიკაცია (მაგ: Blockchain), სადაც უკვე გაქვთ დარეგისტრირებული საფულე და აირჩიეთ ბრძანება → Request;




მობილურ აპლიკაციაში გამოჩნდება თქვენი საფულის QR კოდი;

საფულის QR კოდის დასასკანერებლად, სკანერთან ახლოს (დაახლოებით 10-15 სმ-ის დისტანციაზე) მიიტანეთ მობილურ აპლიკაციაში ეკრანზე გამოსახული ბარკოდი და დააფიქსირეთ;



კრიპტომატის თანხის მიმღებში შეიტანეთ ლარის კუპიურები;¹
დააჭირეთ დასრულებას;



¹ შენიშვნა: ეკრანზე ნაჩვენებია, თუ რა ოდენობის ბიტკოინის, ლაითკოინის, ეთერიუმის ან ბიტკოინ ქუმის შეძენა შეგიძლიათ კრიპტომატში შეტანილი თანხით; აგრეთვე, ეკრანის ზემოთა მარჯვენა კუთხეში მწვანედ გამოსახულია თქვენ მიერ არჩეული კრიპტოვალუტის ყიდვა-გაყიდვის ონლაინ კურსები ლარში.

მიუთითეთ, თუ გსურთ ქვიტორის მიღება;


ტრანზაქცია წარმატებით განხორციელდა! რამდენიმე წუთში, შექმნილი მონეტები თქვენი საფულის ანგარიშზე აისახება.

მონეტების საყიდლად ქალაღდის საფულის (Wallet) შექმნა



იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ საფულე და მისი შექმნა გსურთ, აირჩიეთ მეორე ვარიანტი

➔ Create New Wallet; კრიპტომატი ქალაღდის საფულეს დაგიბეჭდავთ;



აიღეთ ნაბეჭდი საფულე პრინტიდან და შეინახეთ;

ოპერაციის გაგრძელებამდე დარწმუნდით, რომ ქალაქის საფულეზე მოცემული QR კოდები კარგად იკითხება;

გაითვალისწინეთ: პირველი კოდი წარმოადგენს თქვენი საფულის საჯარო მისამართს და მისი გაზიარება სხვა პირებისთვისაც შეგიძლიათ, ხოლო მეორე მათგანი თქვენი პირადი გასაღებია და შესაბამისად, კონფიდენციალურია;

საფულეზე თანხის შესატანად აირჩიეთ  Fund my new wallet!



კრიპტომატის თანხის მიმღებში შეიტანეთ ლარის კუპონები;²

გაითვალისწინეთ: კრიპტოვალუტის შესაძენად კრიპტომატში შესატანი თანხის მინიმალური ოდენობა 10 ლარია.

დააჭირეთ დასრულებას;

აიღეთ ქვითარი;


ტრანზაქცია წარმატებით განხორციელდა! რამდენიმე წუთში, შეძენილი მონეტები თქვენი ქალაქის საფულის ანგარიშზე აისახება.

² შენიშვნა: ეკრანზე ნაჩვენებია, თუ რა ოდენობის ბიტკოინის, ლაითკოინის, ეთერიუმის ან ბიტკოინ ქემის შეძენა შეგიძლიათ კრიპტომატში შეტანილი თანხით; აგრეთვე, ეკრანის ზემოთა მარჯვენა კუთხეში მწვანედ გამოსახულია თქვენ მიერ არჩეული კრიპტოვალუტის ყიდვა-გაყიდვის ონლაინ კურსები ლარში.


მონეტების განაღდება




თქვენს საფულეზე არსებული მონეტების გასაყიდად/ლარში გასანაღდებლად, მთავარი მენიუდან აირჩიეთ ოპერაცია → Withdraw Cash;



მოცემული 4 კრიპტოვალუტიდან: ბიტკოინი, ლაითკოინი, ეთერიუმი, ბიტკოინ ქეში აირჩიეთ მონეტა, რომლის განაღდებაც გსურთ ლარში;



ეკრანზე მოცემულია გასანაღდებელი თანხის რამდენიმე ვარიანტი. მიუთითეთ თქვენთვის სასურველი ოდენობა³;




კრიპტომატის ეკრანზე გამოჩნდება ბარკოდი და კრიპტომატის ანგარიშის მისამართი (მწვანედ);

ტრანზაქციის გასაგრძელებლად, გახსენით შესაბამისი მობილური აპლიკაცია (მაგ: Blockchain), სადაც უკვე გაქვთ დარეგისტრირებული საფულე;

მობილურ აპლიკაციაში აირჩიეთ **➡ Send**;

ველში „To: Enter bitcoin/litecoin address“ კრიპტომატის ეკრანზე მოცემული მისამართის ჩასაწერად, მობილურის საშუალებით (დააჭირეთ ზედა მარჯვენა კუთხეში გამოსახული ბარკოდის სიმბოლოს) დაასკანერეთ გამოსახული QR კოდი;

გადაამოწმეთ ველში ჩასმული მისამართის შესაბამისობა კრიპტომატის ეკრანზე გამოსახულ მისამართთან;



³ გაითვალისწინეთ: კრიპტომატიდან 3000 ლარზე მეტი თანხის გამოტანის ოპერაციას, პირველ რიგში, ქსელისგან დადასტურება (ე.წ. Network Confirmation) სჭირდება. თუ კრიპტომატიდან მითითებულ თანხაზე მეტის გამოტანას აპირებთ, მე-13 გვერდიდან განაგრძეთ ინსტრუქციის კითხვა.

დადასტურეთ, რომ აღნიშნული თანხის მითითებულ მისამართზე გაგზავნას ეთანხმებით;

აპლიკაციაში ტრანზაქციის დადასტურების შემდეგ აიღეთ თანხა და/ან მხოლოდ ქვითარი (იმ შემთხვევაში, თუ თქვენ 3000 ლარზე მეტის გამოტანა მიუთითეთ, მე-13 გვერდიდან განაგრძეთ ინსტრუქციის კითხვა);

თქვენი საფულიდან მონეტების ჩამოჭრა წარმატებით განხორციელდა!

მონეტების განაღდება სპეციალური კოდის (ე.წ. Redemption Code) გამოყენებით


თუ გასანაღდებელი თანხის თქვენთვის სასურველი ოდენობა 3000 ლარს აღემატება, ფულის მიღებამდე ტრანზაქცია ჯერ ბლოკჩეინის ქსელში უნდა დადასტურდეს;

ტრანზაქციის ქსელისგან დადასტურებამდე კრიპტომატი დაგიბეჭდავთ ქვითარს, რომელზეც უნიკალური რვანიშნა კოდი (ე.წ. Redemption Code) გამოსახულია;

შეინახეთ ქვითარი და მოიცადეთ რამდენიმე წუთი (საშუალოდ, 30 წუთი);



ბლოკჩეინის ქსელში თქვენი ტრანზაქციის დადასტურების შემდეგ, კრიპტომატის მთავარ მენიუში აირჩიეთ ბრძანება → Redeem;



ეკრანზე გამოტანილ ველში შეიყვანეთ ქვითარზე დაბეჭდილი რვანიშნა კოდი (ე.წ. Redemption code);

დააჭირეთ → Finish Withdrawal-ს და დაასრულეთ ოპერაცია;



მიუთითეთ, თუ გსურთ ქვითრის მიღება;

ოპერაცია წარმატებით განხორციელდა! აიღეთ თანხა [და ქვითარი]!